ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №22-ში
სასტუმროს კომპლექსის საპროექტო წინადადებისათვის
ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიში

ზოგადი ნაწილი

განხილვის საგანია ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №22-ში სასტუმროს კომპლექსის საპროექტო წინადადება.

საჭიროა განისაზღვროს, გამოიწვევს თუ არა წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმების დარღვევას მიმდებარე საცხოვრებელი შენობებისათვის.

ტერიტორიის შესწავლის, გენგეგმის, მიმდებარე არსებული და მშენებარე შენობების, ტექბიუროს მასალებისა და ჩატარებული ნატურული აზომვების შედეგად დადგინდა საანგარიშო სქემა, სადაც განისაზღვრა ძირითად საანგარიშო წერტილთა მდებარეობები და შესაბამისი საანგარიშო პარამეტრები.

ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიშებისა და დასკვნების ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს სამშენებლო ნორმები და წესები "ბუნებრივი განათებულობა და ინსოლაცია".

ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის გაანგარიშებისას ხორცი-ელდება არსებულ განაშენიანებაში საანგარიშო წერტილების შერჩევა, მათ მიმართ ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის სურათის აგება, საანგარიშო კოეფიციენტების დადგენა და მიღებული შედეგების ნორმატიულ მაჩვენებლებთან შედარება.

მოქმედი ნორმები დამაკმაყოფილებლად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო კოეფიციენტები აღემატება შესაბამის ნორმატიულ მაჩვენებლებს. წარმოდგენილია სასტუმროს კომპლექსის გადაწყვეტის სამი შესაძლო საპროექტო წინადადება. ანგარიშები ჩატარდა სამივე საპროექტო წინადადებისათვის, მათი შესაბამისი სიმაღლეების გათვალისწინებით.

საპროექტო წინადადებით წარმოდგენილმა სამივე ვარიანტმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ალ. ყაზბეგის გამზირის №№ 20, 24, 33 და 35 არსებული შენობების ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პირობებზე.

ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიშები ჩატარდა ოთხივე დასახელებული კორპუსის საცხოვრებელი ბინებისა და ოთახებისათვის.

გაანგარიშებათა შედეგები:

ჩატარებული ანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ ყველა დასახელებული მიმდებარე შენობებისათვის არ დაირღვევა ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმატიული მაჩვენებლები.

წარმოდგენილი საპროექტო შენობების სიმაღლეებისათვის ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის საანგარიშო მაჩვენებლები აკმაყოფილებს ნორმით დადგენილ მინიმალურ მნიშვნელობებს.

დ ა ს კ ვ ნ ა

- ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №22-ში სასტუმროს კომპლექსის საპროექტო წინადადება (წარმოდგენილი სამივე ვარიანტი) აკმაყოფილებს ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმების მოთხოვნებს;
- სასურველია საპროექტო შენობის ფასადების ნებისმიერი ღია შეფერილობა.

პრ. მთ. არქიტექტორი შ. ჯანგველაძე